№ 176

პარასკევი, 18 აგვისტო 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 176

პარასკევი, 18 აგვისტო 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსა ცდელი წარმოდგენეი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 20 ამ თვემდე თეატრის დარბაზ ში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

## „ივერიის“ რედაქციისაგან.

რადგანაც გაზ. «ივერიის« დამტარებელი უეცრად გარდაიცვალა და რამდენიმე ტფილისელ ხელის მომწერლის დაწვრილებითი ადრესი არა გვაქვს, ამისათვის ვისაც გაზეთი არ მიუვა, ვთხოვთ შეგვატყობინონ და ადრესიც გვაცნობონ.

ქ. ქუთაისში კ. ს. ქორქაშვილის პირველ დაწყებითს სასწავლებელში ყმაწვილები მიიღებიან ყოველ დღე 25 აგვისტოდამ. სწავლის ფასად დანიშნულია თვითო მოსწავლეზედ თვეში 4 მან. (5—1763—4)

ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა თანახმად მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის დადგინებისა ამა წლის 5 ივლისსა, № 25-ით, ამით აცხადებს, რომ ამ მომავალ სამოსწავლო 1895—96 წელს მოწაფენი სემინარიისა მიღებიან თავისს ხარჯზედ პანსიონში საცხოვრებლად მხოლოდ სრულის ხარჯით (მარტო სასმელ საჭმელითა და საცხოვრებელ ბინით-კი არა, არამედ ტანისამოსითა და საცვალით), რაშიც წლიურად თითოეული გადიხდის 140 მან., რომელიც უნდა ასე იქმნას წარდგენილი სამ ვადაზედ: 1-ლ სექტემბერს—50 მან., 10 იანვარს—50 მან. და აღდგომის პირველ კვირას დანარჩენი 40 მან. (3—6—3).

# ახალი ამბავი

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ იმერეთის ეპისკოპოსი და საყვარელი მწყემსთ-მთავარი გაბრიელი 11 ამ თვისას ფილტვებით გამხდარა ავათ, 14 ავადმყოფობა გაძლიერებია და ძლიერაც დასუსტებულა, რის გამოც 15 აგვისტოს გელათის მონასტრიდამ ძვირფასი მწყემსთ-მთავარი ქუთაისში გადმოუყვანიათ.

*** სამიწათ-მოქმედო სამინისტროს მოხელე ვიტმერი კავკასიაში მოდის, რათა ადგილობრივ გაიცნოს ფილოქსერასთან ბრძოლის საქმე („კავ. სამეურ. საზ.“).

*** საგუბერნიო ადმინისტრაციის ცნობებიდგან სჩანს, რომ წელს ტფილისის გუბერნიაში პურის მოსავალი გვარიანია, ხილეულობისა—ცუდი, ყურძნის მოსავალი ზოგან კარგი (უმთავრესად კახეთში), ზოგან ცუდი („კავკ. სამ. საზ.“).

*** რედაქციამ მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მოწაფე მოსე თოიძის მიერ დახატული და გამოცემული სურათი შოთა რუსთაველისა. სურათი ორგვარ ქაღალდზეა დახატული,—არის საკმაოდ დიდი და შედარებით სხვა ამ გვარ სურათებთან ფასი ძალიან მცირე აქვს დადებული. ასე მაგალითად საუკეთესო ქაღალდზედ დახატული ღირს 25 კ. და უფრო დაბალ ქაღალდზედ აბაზი.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის წარმოდგენები გაიმართება ამ სეზონში ყოველ ოთხშაბათობით და კვირაობით. ოთხშაბათობით წარმოდგენილი იქნება ახალი პიესები.

*** 15 აგვისტოს გვქონდა მოხსენებული, რომ რკინის გზის სამმართველო ძველის შენობიდგან ახალს საკუთარს შენობაში გადავიდა და დღეს პარაკლისიც იქნება გარდახდილი და საქმის წარმოებაც დაიწყებაო. პარაკლისი მართლა უნდა გარდაეხადნათ და ეკურთხებინათ შენობა, მაგრამ პარაკლისიც და კურთხევაც გადადებულ იქმნა დღეისათვის.

*** 15 ამ თვეს, სამშაბათს, დიდუბეში ღვინის სმის დროს ჩხუბი მოუვიდათ დათიკო მესხსა და ნესტორ საქანელიძეს. ჩხუბის დროს საქანელიძეს მიეშველნენ ლორთქიფანიძე და მამაგეიშვილი, და იშიშვლეს ხანჯლები. მამაგეიშვილი მკლავშია დაჭრილი, მაგრამ საშიშრად-კი არა. უფრო მძიმედ იქმნენ დაჭრილნი ნესტორ საქანელიძე და დათიკო მესხი. საქანელიძე დაჭრისათანავე მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს და მესხი-კი თავისს დუქანში წევს. მიზეზი ჩხუბისა ჯერ ნამდვილად არავინ იცის.

*** როგორც ატყობინებენ გაზ. „ნოვოე ობოზ.“-ს პეტერბურგიდამ, მთავრობას განუხილავს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოხსენება შესახებ იმისა, რომ უმრავლესი რიცხვი გუბერნიის თავად-აზნაურთა დიდს გაჭირვებაშია; შემდეგ როცა მათი რიცხვი ერთი-ორად იმატებს და ადგილ-მამულიც დაუნაწილდებათ, უფრო გასაჭირში ჩავარდებიან. თავად-აზნაურთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შრომა, რომელსაც ისინი ეხლა ერიდებიან, რადგანაც მიჩვეული იყვნენ ჯერ ყმების და მერე დროებით ვალდებულ გლეხთა ოფლით ცხოვრებასაო. ამიტომ მთავრობის დახმარება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მისცეს შეძლება თავად-აზნაურნი შრომას მიეჩვივნენ, რისთვისაც გუბერნატორის აზრით, საჭიროა გაიხსნას პროფესიონალური სასწავლებლები, საცა მათი შვილები მიეჩვევიან შრომას და შეიძენენ „სხვა და-სხვა სამეურნეო“ ცოდნას. გუბერნატორის მოხსენება მოწონებული იქმნა პეტერბურგში.

*** „ნოვ. ობ.“-ს სიტყვით, მოტაცებულ ქალის პ—ის დედას საჩივარი მიუცია მთავარ-მართებლისათვის.

*** ბაგურციხე: წელს აქეთკენ პურისა კაი მოსავალია, ვენახებისა კი რა მოგახსენოთ. ისე გაგვანადგურა შეუბრალებელმა სეტყვამ, რომ ღვინის მოსავლისა სრულებით აღარა გვაქვს იმედი. სწორედ ექვსჯერ დაისეტყვა ჩვენი ვენახები. ერთხელ ისეთი საშინელი სეტყვა მოვიდა, რომ ყველაფერი დედამიწასთან გაასწორა. სეტყვა მსხვილი კაკლის ოდენა იყო. რაც სეტყვას გადურჩა ნაცარმა დასწვა და მარცვალი აღარა მსხვილდება, ჭკნება და სცვივა. ნიაღვარმა და ქარიშხალმა ხომ სული ამოგვართვა. ძველსა და ახალს ეკკლესიას სახურავები ახადა და ერთს მათგანს გუმბათიც-კი მოგლიჯა. ნიაღვარმა აქ ერთი კაცის ბაღჩა ხეხილიანად დაიცურა მაღლობიდგან და ჩაიტანა მეორე კაცის ეზოში. ბაკურციხის მახლობლად მდებარე სოფელ მელაანში ნიაღვარმა დაანგრია ერთი საწყალი ოჯახის სახლი. სახლმა ქვეშ მოიყოლა სახედარი და ერთი პატარა ქალი. ვერც ერთი ვერ გადაარჩინეს. ბაკურციხეში ამ ჟამად საშინელი ყვანახველაა გავრცელებული.

*** დ. ყვირილა: აქაური მეპურეები პოლიციისაგან დადგენილს ტაქსას არ უყურებენ. სოფლიდგან მოსულ კაცს, რომელსაც ფუთი პური უნდა, იმას ტაქსაზედ ნაკლებ აძლევენ იმიტომ, რომ წონაში ფუთის მაგიერ ოც-და-ათს გირვანქას უწონავენ. გარდა ამისა აქაურს ვაჭრებს კვირა და საქმის დღეები სულ ერთად აქვთ გათანასწორებული, როცა სხვა დაბებში კვირა დღეობით ვაჭრობა შეჩერებული არის და ვაჭრებიც საყდარში დადიან წირვის მოსასმენად.

# ფელეტონი

## ხმა საფლავიდგან.

მე ჯავრი მჭირდა ლომასი,
ვაქე და ვაქე ნიკორა,
თუმცა ჩირათაც არ ღირდა
და სულაც არა იყო-რა.
ლომამ ნიკორა უღელში
დაამარცხა და მიტორა,
მოვკვდი, გავქერი მატლივით,
ვერც მისმა ქებამ მიყო-რა;
ეს-კი მასწავლა: შევატყე
კრიტიკანებსაც გველობა:
საძაგი ულმერთებიათ,
მოუქმედიათ მელობა,
საქები უძაგებიათ,
ჩემი ჰქონიათ ხელობა,
ვაი, რა ყალბი ყოფილა
ქია-მსაჯულთა მსჯელობა!..

დ. მაჩხანელი.

## პატიოსნება

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა.

(შემდეგი *)

VIII

ისინივე და ალმა; ბოლოს ინდოელი.

ალმა. (მშვენივრად არის მორთული, თმა ძალიან კეკლუცად აქვს გადავარცხნილი, ხელთათმანები აცვია, მკლავებზედ ბლომად აქვს სამაჯურები და ხელში აბრეშუმის ქოლგა უჭირავს. კარებშივე) გამარჯობათ.

რობერტი. (მიეგებება და გადაეხვევა) ალმა! ძლივს!

მიხალსკი. (ცოლს) ჩვენის გვარეულობის ორი გრაფი შეხვდა ერთმანეთს.

რობერტი. (ჰკოცნის ალმას) ჩემო პაწია ქალბატონო, იმდენად მახინჯიც რომ ყოფილიყავ, რამდენადაც ეხლა ლამაზი ხარ, მაინც-კი არ უნდა გშინებოდა იმისი, რომ ვაი თუ ჩემს უფროსს ძმას არ მოვეწონოვო...

ალმა. არ იქნა, ავგუსტამ კიდევ მოიტანა ჭორი.

რობერტი. კარგია, კარგი, ცუდი ხომ არა უთქვამს-რა, ნუ გასწყრები.

ალმა. (ცბიერად) ოჰ, საყვარელო ძმაო!..

ავგუსტა. (ნელის ხმით) ჰხედავ იმათს განაზებას (დედა ალმას წამოსასხამს მოხდასა ჰშველის).

ხეინეკე. აბა, რას იტყვი? (ალმას ლოყაზედ ხელს უსვამს) ძვირფასი ქალი არა მყავს თუ?

ალმა. (ხმას ჩაავანკალებს) „Oui, cher papa, c'est Birolfa“.

ხეინეკე. გესმის, გესმის, როგორ უწევს ხმას. ნამდვილი იტალიელი მომღერალი ქალია.

რობერტი. გამაგებინე ერთი, თუ ღმერთი გწამს, ეს რაღა ახალი ამბავი შევიტყე? მართლა გამოჩენილი მომღერალი ქალი გინდა გახდე?

ალმა. რატომ... თუ შესაძლებელია, რაღა თქმა უნდა, უარს არ ვიქნები.

დედა. ალმა, ქადა არ გინდა?

ალმა. Merci beaucoup. (ერთს ლუკმას აიღებს, მივა სარკესთან და შიგ კოხწავსოხს).

რობერტი. მერე, კარგად სწავლობ?

ალმა. (ლუკმის ღეჭვით) ყოველ დღე გაკვეთილი მაქვს—do-re-mi-fa,—sol la ci-ci-la-sol-fa. ახ, როგორ მომაბეზრა ამ საზიზღარმა გაკვეთილებმა თავი, ძარღვები სულ ერთიანად მოშლილი მაქვს.

დედა. საბრალო შვილო ჩემო.

ალმა. O yes, ma! იცი, ინგლისურს ენასაცა ვსწავლობ. ძალიან ნასწავლი ვარ, ვინ მოსთვლის რა არ ვიცი.

ხეინეკე. ჰხედავ, როგორი ნასწავლი ქალი გვყავს.

ალმა. ესეც არ იყოს, ადამიანის სიცოცხლე მეტად ხან-მოკლეა... ოღონდ-კი სიამოვნებითა და მხიარულად გავატაროთ ეს მცირე ხანი... შენა ძმაო, შენც გიყვარს მხიარულება?

რობერტი. რატომ, თუ მიზეზი მაქვს მხიარულებისა.

ალმა. ეგ რაღა სათქმელია. მხიარულებას რა მიზეზი უნდა? მაშ ახალგაზდანი რაღა ვართ, თუ არ ვიმხიარულებთ? ახ, სიცოცხლე-კი ასე ტკბილია... ყოველს დღეს ახალი რამ მოაქვს, ბერლინი-კი ისეთი კარგია, ისეთი ლამაზი... მაგალითებრ... ელექტრონის სინათლით განათებული ცაცხვები გინახავს? ამ ქვეყანაზედ ყველაზედ მეტად ის მიყვარს... ელექტრონის სინათლეზედ ადამიანი ისეთი ფერ-მიმკრთალია, ისეთი კარგი სანახავია... ეხლა სასტუმროებიც-კია ელექტრონით განათებული. საოცრებაა სწორედ! ერთი ხომლი ვნახე... აი, ახალი სასტუმრო რომ გამართეს, მშვენიერად მორთული. დიდი ყვავილების ხვეულია გაკეთებული და ყოველ ყვავილიდგან ელექტრონი გამოიჭყიტება.

რობერტი. შენა, შენ იყავი მაგ სასტუმროში?

ალმა. მე? რას ამბობ, იქ რა მინდოდა? ფანჯრიდგან დავინახე. ინდოეთში ელექტრონი ჯერ არ არის განა შემოღებული? არა, განა?

რობერტი. რასაკვირველია, ელექტრონს რა უნდა იქა!

ალმა. საზოგადოდ განვითარებისა და განათლების მხრივ ჩვენ ძალიან წინა ვართ წასულნი.. ერთმა კაცმა მითხრა, რომ ჩვენში, ბერლინში, ისევე კარგია ცხოვრება, როგორც პარისშიო. მართლა ასეა?

რობერტი. არ ვიცი, პარისში არა ვყოფილვარ, ჩემო ჩიტუნიავ.

ალმა. იი, ეგ-კი მეწყინა. საზოგადოდ ყოველი ყმაწვილი უეჭველად უნდა იყოს პარისში ნამყოფი.

რობერტი. (ერთსა და იმავე დროს აღტაცებულიც არის და შეშფოთებულიც) ოჰ, რა უცნაური ხარ ჩიტუნიავ!

ალმა. ხა-ხა-ხა! სასაცილო ვარ განა?! ასეთი გახლავართ, ჩემო ბატონო. (სიცილითა და ცელქობით მიუახლოვდება ავგუსტას და ცხვირთან მიუტანს ხელსახოცს, რომელიც კაბის ქამარში ჰქონდა გამაგრებული) აბა უსუნე.

ავგუსტა. (ნელის ხმით) აჰ, რა მშვენიერებაა! რა არის?

ალმა. (ნელის ხმითვე) ნარგიზის წყლით ვასხურე. ეს სურნელოვანი წყალი ეს-ეს არის პარისიდგან ჩამოიტანეს. დღეს მომივიდა ფეშქაშად.

ავგუსტა. (ნელის ხმით) დღეს გამოხვალ?

*) იხ. „ივერია“, № 174-5.

## უკანასკნელი სიტყვა.

როდესაც ჩვენ ბ. მაჩხანელის დეპო-ბანკის პროექტის შესახებ პირველად შენიშვნასა ვწერდით, მაშინ ბევრ სხვა საბუთებთან ჩვენი დეპო-ბანკების საზოგადოდ აღორძინების ისტორიაც გვქონდა სახეში, ის ისტორია, რომელმაც ასე დაახლოვებით 1877 წლებიდგან აიდგა ჩვენში ფეხი, მაგრამ, საუბედუროდ, ფეხის ადგმა ვერ მოახერხა და იმ დროიდგან მოკიდებული ჯერაც აქამომდე უსუსურ ბავშვსავით დაღოღიალებს და ვერ იქნა, ვერ შეიმაგრა მუხლი.

ჩვენ აქ არ შევუდგებით საფუძვლიანად იმ საბუთების განხილვას, თუ რა იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენში დეპო-ბანკების საქმემ ვერ მოიპოვა შესაფერი ნიადაგი და თუ სადმე დღესაც აქა-იქ არსებობს—არსებობა მათი იმას ემზგავსება, აკაკის თქმისა არ იყოს, რომ „არ მომკვდარან, მხოლოდ სძინავთ"-ო; მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ბევრმა დეპო-ბანკმა რაღაც საიმედო ძილის მაგიერ დღეს საუკუნოთაც განისვენეს! საჭიროა ვიკითხოთ: რათა, რა იყო ამის მიზეზი? იქნება დეპო-ბანკების სადმე დაარსება არ იყო ყოველის მხრით კეთილ-გონივრულის აზრით განზრახული? იქნება ხალხმა ვერ შეითვისა მათი მნიშვნელობა და მხარი ადრიკა? არა. არა-და-არა! ყველამ ვიცით, რომ დეპო-ბანკის დიადი აზრი არა მარტო დაწინაურებულს ხალხში ფრიად საყურადღებო საგნად მიღებული, არამედ ისეთ ხალხმაც-კი შეიგნო იმისი კეთილ-განზრახვა, რომელთა შორისაც ცივილიზაციას ეს-ეს არის ნებაი შეაქვს თავისი წინ-მსვლელობის გაუმჯობესების სხივი.

თქმა არ უნდა, რომ მიზეზი, უმთავრესი მიზეზი ამ დაწესებულებათა შეფერხებისა უნდა ვეძიოთ სულ სხვა მოვლენაში, სულ სხვა გვარს მოქმედებაში და არა მარტო ის დავიხვიოთ ხელზედ, რომ ვითომც დეპო-ბანკის აზრი ხალხისათვის შეგნებული, აუწონ-დაუწონელი იყოს. თუ ამ მიზეზის რიგიანს გამოკვლევას შევუდგებით მეთქი, ვამბობ, მაშინ შემდეგს სამს მარტივს, მაგრამ აუცილებელს საგანს წავაწყდებით, რომელნიც უნდა ჩავთვალოთ იმ შემაფერხებელ მიზეზებად, როგორც დღეს არის შეფერხებული ეს ფრიად შესანიშნავი საგანი ჩვენში.

აი ის მიზეზებიც: ა), რომ დეპო-ბანკის დაარსებისათანავე იმედი და თანაგრძნობა ბევრია, მაგრამ ნამდვილის საქმით-კი ერთმანერთს არ ვუმართავთ ხელს; ბ) რომ თუ მაინცა-დამაინც როგორმე მხარი მივეცით და საქმე საქმეზედ მოვიყვანეთ, მაშინ ყველას მეთაურობა გვსურს და ნამდვილი და გულ-შემატკივარი მეთაური-კი საქმისადმი აღარ მოგვეპოვება და გ) ესეც რომ არ იყოს, ნამდვილი საქმის მევითარე, გამჭრიახი მცოდნე თეორიულად-კი არა—არამედ საფუძვლიანის გამოცდილებით აღჭურვილი ველარ გვიპოვნია და ყოველი მცირედათ თეორიის მცოდნე პირი რაღაც მეცნიერების ჰერკულესად მიგვაჩნია!

დიაღ, რომ ეს სამივ უმთავრესი მიზეზი არ გვიშლიდეს ხელს, წინ არ გვეღობებოდეს ყოველგვარს ჩვენს მოქმედებაში, უნდა მოგახსენოთ, რომ დღესაც ბევრი დეპო-ბანკი იქნებოდა ჩვენში აღყვავებული, უტყუარის ნაყოფის მომტანი ყველასათვის და აღარც იმ საზარელს სურათს დავინახამდით, რომ ერთს დღეს დააარსებენ დეპო-ბანკს, მეორე დღეს გულს აჰყრიან, მესამე დღეს ზედაც არ შეჰხედავენ და მეოთხე დღეს სულსაც ამოჰხდიან ხოლმე! ეს პატარა მოსაზრება რომ უფრო საფუძვლიანად დავასაბუთოთ, მკითხველს მივუთითებთ იმ ჩვენს წერილზედ, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად გაზ. „მეურნეში" იყო დასტამბული და რომლიდგანაც ნათლად ამოიკითხავთ იმ პატარა ისტორიას, თუ რა რიგს ნიადაგზედ აღორძინდა მთელს ტფილისის გუბერნიაში წინად დეპო-ბანკები და რასა ვხედავთ მათ მაგიერ დღეს.

მართალია ცოტა სიტყვა გაგვიგრძელდება, მაგრამ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა შესახებ ბ. მაჩხანელის დეპო-ბანკისა პატარა შორიდგან უნდა დავიწყოთ, უნდა მივმართოთ ჩვენს პირველ წერილს. აქ პირ-და-პირ აღარ შევეხებით პროექტს, იმის სიავ-კარგეს თუ სხვა ნაკლულევანებას, რადგანაც ვიცით, რომ *) ბი. მაჩხანელი უტყუარს საბუთზედ-კ არ მოგვიყვება ხოლმე ბაასს, არამედ მოჰყვება ზოილ-ხონელსავით და ცალიერის და უმართებულო სიტყვებით, ვინ იცის რას არ შეგვწამებს, რა შეუწყნარებელს სიტყვებს არ ამოეფარება—თითქოს ცალიერი სიტყვები შეუდრეკელი ქვა-კუთხედი იყოს თავის გამართლებისა და არა მარტო უწმაწურობა-

დავუბრუნდეთ ისევ საგანს.

ჩვენს პირველს წერილში, სხვათა შორის, იმასაც ვამბობდით, რომ ბ. მაჩხანელს თავისს მეცადინეობასთან სხვა რიგი მომხრენიც ესაჭიროება და ნუ დაივიწყებს, რომ „ერთი კაცი ბრძოლის ველზედ მეომრად არ ჩაითვლებაო". ჩვენ ეს, გარდა პროექტის ნაკლულევანებისა, იმისათვის წარმოვსთქვით, რამდენადაც ზედმიწევნით ვიცით ქართველის კაცის ბუნება იგი ყოველგვარს საქმეში დიდი ნუ გეშინის მომცემია, მაგრამ ამსრულებელი-კი არაფრისაა! შეიძლება ბ-ნ მაჩხანელისათვის საზოგადოების გარდა კერძო გავლენიან პირსაც მხარი დაეჭიროს ნივთიერად, მაგრამ საქმე-კი იმაშია, რომ ნივთიერს დახმარებასთან საქმის ცოდნით და გამოცდილებით დახმარებაც აუცილებლად ესაჭიროება კაცს, თორემ უამისოდ ეხლა ყველამ ვიცით, რომ ყოველი ნივთიერი ძალა ძალათვე რჩება, თუ იმ ძალას მომხმარებელი, გზის მაჩვენებელი და რიგიანად გამომყენებელი არა ჰყავს. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ ამ არა სასიამოვნო მოვლენასა ვხედავთ დღეს ბ-ნ მაჩხანელის დეპო-ბანკშიაც და ხომ მოგეხსენებათ, რომ ეს მოვლენა შემდეგისათვის რის მომასწავებელია.

ვიცი და უტყუვრად დარწმუნებულიცა ვარ, რომ ბ-ნი მაჩხანელი ჩვეულებისამებრ მიკიჟინებს: „ჩვენ მარტო საგნად პროექტის ავ-კარგიანობა გვქონდა საბაასოდ მიღებული და სხვა არაფერიო". არა, ბატონო, ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ თუ ჩემს წერილს ისე უნებლიედ-კი არ გადაჰხედავთ, არამედ რიგიანად ჩაუკვირდებით, მაშინ, და მხოლოდ მაშინ, თითონვე დარწმუნდებით, რომ პროექტის შინაარსის გარდა სხვა აზრიცა გვქონია შიგ გატარებული, თუმცა მაშინვე უცბად არ დაგეხატებოდათ თვალწინ, მაგრამ რომ ცოტა ჩაჰფიქრებოდით—უეჭველად იმასაც ამოიცნობდით.

ჩვენ მომეტებულად, გარდა პროექტის ნაკლულევანებისა, ის საგანი გვქონდა გატარებული, რომლისაც გვეშინოდა, რომელიც ბოლოს უღებდა წინად ჩვენს დეპო-ბანკებს და ეხლაც ყოველს ახალ დაწყებულს საქმეს ზედ-ნადებსავით დაჰყვება ხოლმე. ეს ის საშიში და აუცილებელი სენი გახლავთ, რომელსაც, თქვენებურად რომ გამოვსთქვათ, საქმის უვიცობას, უერთგულობას, ერთმანეთის მეშურნეობას და განუწყობილობას ეძახიან. უჩემოთაც, ხომ იცით, რომ თუ ამ სენმა რომელსამე საზოგადო დაწყობილებაში მოიკიდა ფეხი და ფეხის მოკიდებასთან ბურჯიც გაიდგა, მაშინ არავითარი ძირეული ღონისძიება ველარ ჰშველის და სენი თავისას მოქმედებს.

ამიტომაც არის საჭირო, კიდევ განვიმეორებ, რომ რაიმე რიგიან საქმის დაწყებისათვის მარტო რიგიანად და მართებულად, ანუ ურიგოდ და უმართებულოდ შედგენილი პროექტები საქმეს იმ შეუდრეკელ საძირკვლად ვერ გაუხდებიან, რომელზედაც შეიძლებოდეს, ვინ იცის რა ოცნებების ციხე-დარბაზების აშენება. საქმისათვის და რიგიანს ნიადაგზედ დამყარებულ საქმისათვის, ჩვენის აზრით, მარტო პროექტი ვერ გახდება შეურყეველ ქვა-კუთხედად, არა! იქ სულ სხვა უნარი, სულ სხვა მოსაზრება, სულ სხვა გამჭრიახობა, სულ სხვა თანასწორობა არის საჭირო, ბ. დიმიტრი! თქვენ რომ მიჰყვეთ და ყველა'ს ის უკიჟინოთ, რომ ჩვენ ძლიერ გონივრულის პროექტით ვხელმძღვანელობთ, თქვენი რჩევა და გულის ტკივილი სრულებით უადგილოა, ჩვენ ამავე დიდებულის პროექტით საქმეს არ წავახდენთ, დამერწმუნეთ ეს იმას ემზგავსება, როგორც, თქვენებურად რომ ანდაზითა ვსთქვა, სრულიად უვიცი და უბირი კაცი, შესკუპოთ ფრიად გამოჩინებულს მსწრაფლ-მატარებელს მანქანაზედ და მან-კი არავითარი ხერხი და ძალა არ იცოდეს იმ მანქანისა. განა მისაღებია იმ უბირი კაცის კიჟინი, რომ გზა მომეცით და მანქანას მე ვამუშავებო?! რასაკვირველია, არა და სწორედ რომ ამისთანა უვიცობა უჩენს ხოლმე დამღუპველს ჩრჩილს ბევრს ჩვენ საზოგადო საქმეს.

დასასრულ არ შემიძლიან არ მოგაგონოთ, ბ-ნო დიმიტრი, რომ ნუ დაივიწყებთ და ყოველთვის სახეში იქონიეთ ხოლმე გამერლინგის შესანიშნავი სიტყვები, რომელიც ამბობს: „ბევრის ყურძნისაგან ბევრს ღვინოს მივიღებთ და ბევრის თავთავისაგან ბევრს ხორბალს: ამრიგად ხალხიც სულითა და გულით გაერთებული, გათანასწორებული უნდა იყოს. თუ მათში ერთი აზრი და ერთსულო-

*) პროექტი ასე თუ ისე შემუშავებულიც არის და წარდგენილიც წინაშე მთავრობისა და, მაშასადამე, პროექტი როგორც უნდა იყოს შედგენილი, იმაზედ ლაპარაკი დღეს მეტი იქნება და უადგილოც.

---

ალმა. (ნეღაკე) არ ვიცი, თითონ რას მეტყვის, ხვალ-კი მასკარადში მივდივართ... ხა-ხა-ხა!

რობერტი. კარგია, კმარა ცელქობა, ჩიტუნიავ. აქ მოდი, დაჯექ... ჩემს პირდაპირ ჩამოჯექი... აი აქა.

ალმა. ღმერთო, რა უცნაური ხარ!.. ეს ხომ სისხლის სამართალში მიცემულს ბრალდებულს ვემსგავსები.

რობერტი. ბევრი რამ მაქვს შენგან გასაგები და შესატყობი. (მოხუცნი ალმას სკამს უკან დასდგებიან; მიხალსკი მანქანაზედ ჯდება, ავგუსტა იმის გვერდით სკამზედ).

ალმა. აბა, იწყება. S'il vous plait, monsieur.

მიხალსკი. (ნელის ხმით ცოლს) ალმა მოჰყვა თავისებურად.

რობერტი. ერთი გამაგებინე, ეგ როგორ მოხდა, რომ აგეთი ნიჭი გამოგაჩნდა?

ალმა. ნიჭიც, სიყვარულისავით, ისე იჩენს ხოლმე თავს, რომ ძნელად მიუხვდება ადამიანი.

რობერტი. (უკმაყოფილოდ) ჰმ! მაინც პირველად ხომ შეამჩნევდა ვინმე მაგ ნიჭს (ალმა მხრებს შეიშმუშნის).

დედა. მოიგონე, ქალო, მგონი ჩვენის ბატონის შვილი იყო..

რობერტი. ბატონის შვილი?!..

ხეინეკე. ჰო, იმანა სთქვა, იმან, პირველად.

რობერტი. მერე იმან საიდგან მოჰკრა ყური შენს ხმას?

დედა. ეზოდგან გაეგონა ალმას სიმღერა. მერე მოვიდა და ჩვენ გვითხრა, დიდი სისულელე მოგივათ, თუ ე მაგისთანა ხმას...

რობერტი. ალმა, დედას რად ალაპარაკებ შენს მაგივრად?

ავგუსტა. (ქმარს) მეტად მორცხვია.

ალმა. ე მაგისთანა ხმას არ მოუარეთ და უბრალოდ ჩაატარეთ... ეგეც გაუბედურდებაო და „ეს-კი, ჩემო ბატონო, ძალიან სამწუხარო იქნებაო", მითხრა.

დედა. მეც გავიგონე, როდესაც უთხრა—„ჩემო ბატონოვო".

ხეინეკე. მაშ, მაშ! ჩემი ქალი?... ოოო!

რობერტი. განაგრძე, განაგრძე!

ალმა. ჩემმა ბშობლებმა შენი ძმისათვის იზრუნესო, სთქვა... მე-კი მსურს თქვენთვის გავწიო ზრუნვაო... ჰო, მერე მასწავლებელი მიშოვნა, ერთი იტალიელი-ქალი. იმასთანა სწავლობენ მღერასა და გალობას საუკეთესო გვარისა და შთამომავლობის ქალები. ერთი იმათგანი დაბელგილი, თუ დანიშნულიც-კი იყო ერთს აფიცერზედ.

რობერტი. რა გვარია ის მასწავლებელი-ქალი?

ალმა. (ეჭვით) რად გინდა იმისი გვარი?

რობერტი. რა ვქნა, რა დასამალია?!

ალმა. იმასა ჰქვიან სინიორა...

ხეინეკე. (აღტაცებით) ნამდვილი იტალიელია.

რობერტი. (უბის დავთარს ამოიღებს) და სცხოვრობს...

ალმა. (სწრაფად) იმასთან წასვლა რად გინდა?! სულ მართალია, რაც გიამბეთ.

რობერტი. ეჭვი არა მაქვს, მართალი იქმნება, მაინც-კი მინდა პირად ვნახო შენი მასწავლებელი და გამოვკითხო, როგორა სწავლობ, რამდენად მიდიხარ წინ.

ავგუსტა. რა ვქნა, თუ აგრე გულით გინდა, შეგიძლიან ხვალ შენც გაჰყვე სასწავლებელში.

ალმა. (სწრაფად) ჰო, მართლა, ეს კარგია, ხვალ, ხვალ წავიდეთ ერთად.

რობერტი. ძალიან კარგი. (წამოდგება აღელვებული და დადის) შენი წყენა-კი არ მინდა, ჩემო პატარავ, მაგრამ მაინც-კი უნდა გამოგიტყდე, რომ თქვენი იმედი ტყუილი იმედი მგონია.

ხეინეკე. ბიჭოს! რატომაო?!

რობერტი. ვინ მოსთვლის, რამდენი უმაწვილი ქალი გამოსდგომია მაგ გზას თავისის კეკლუცობისა და თავ-მოწონების გამო. ეგ გზა-კი საშიში გზაა, დიდად საშიში და საფრთხილო. რასაკვირველია, მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ მიულინგის შვილს გულში კეთილის ქმნის მეტი არა აქვს-რა, მაგრამ... ეჰ, რაღა ვსთქვა, აი, ხვალ თვით მასწავლებელსა ვნახავ და თუ ის დამარწმუნებს, რომ უსაფუძვლოდ ჩამიდვია გულში ეჭვი, მაშინ მე თითონ გაძლევ სიტყვას, ყოველივე დახმარება აღმოგიჩინო, და არც მოვისვენებ იმ დრომდე, ვიდრე საუცხოოდ არ განვითარდები მაგ ხელოვნებაში. (ალმა თაიგულს აიღებს და სასკმზედ იფარებს) უცნაური კიდევ ეს არის, რომ ყოველ მხრივ, ამ ბედნიერებითაც-კი, მაულინგებისაგანა ვართ დავალებული. (მიხალსკი ჩუმად ჩაიხითხითებს, რობერტი ყურს მოჰკრავს).

ალმა. დედავ, ეს მშვენიერი თაიგული ვინ გამომიგზავნა?

დედა. შენ-კი არა... (ანიშნებს) ახალგაზდა ქალბატონისაგან.

ალმა. ახ, იმის გამოგზავნილია. (კაზას ისევ თავისს ადგილს დასდგამს).

რობერტი. მოითმინე ცოტა, ერთი საკითხავიცა მაქვს. კარგად შევნიშნე, რომ ვახსენებ თუ არა მიულინგების ოჯახს, ან იმათგანს ვისმე, რომელიმე თქვენგანი ან იცინის, ან უსიამოვნებას განაცხადებს ხოლმე, თუმცა ახალგაზდა მიულინგს, მგონი, ყველანი სწყალობთ. რადა ხართ წინააღმდეგნი ამ ჩვენის კეთილის-მყოფელებისა? რას ემდურით?!.. (სიჩუმეა) რად ჩაიცინე, მაგალითებრ, დაცინვით, სიძე-ბატონო? (სიჩუმეა) შენ, ალმა? რად გეწყინა და გეუცხოვა, როდესაც გითხრეს, თაიგული ლეონორას გამოგზავნილიაო? დედა ეს არის მიამბობდა, რომ ლეონორა ყოველთვის ალერსით მექცევაო.

ალმა. ვინა? ისა და ალერსი? გაფხვერილი დადის, შემხვდება თუ არა, ცხვირი განზედ მიაქვს; თავსაც მედიდურად, ოდნავ დამიქნევს ხოლმე .. ოო, ის ქალბატონი...

ავგუსტა. მეც ეგრე მექცევა.

რობერტი. (მწუხარედ თავისთვის) ლეონორა და ასეთი საქციელი... როგორღაც მეეჭვება...

დედა. (ნაზად) ოღონდ-კი ჩემი რობერტს მოსთხოვდეს-და...

რობერტი. დედაჩემო, დედაჩემო... მაგრამ უკაცრაოდ... სულ გადამავიწყდა, რომ ჩემს დებს და თქვენც... შენც, სიძევ, რაღაცეები მოგიტანეთ.

ავგუსტა. (სიხარულით წამოხტება) სად არის, რა არის, რა?

რობერტი. საწოლს ოთახშია, სტოლზედ აწყვია. ყველას თავ-თავისი წარწერა აქვს, აწერია ვისთვისაც არის ჩამოტანილი. (სამნივენი საწოლ ოთახში გარბიან, ავგუსტა წინ მიდის).

ხეინეკე. ჩვენა, ჩვენ არაფერი ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნება იქნება დამყარებული, მაშინ ეს ერთ-სულოვნება მტკიცე და შეუდრეკელს სიცოცხლესა ჰპოვებსო“! მაშასადამე, თუ რომელსამე საქმეში ყველანი ერთის დედა-აზრით არა ვართ გამსჭვალულნი, ყველას ერთი და იგივე ინტერესი არ გვიღვივის გულში და ყოველი მომქმედი პირი ერთსა და იმავე საერთო წმიდა საგანს ერთის ხელოვნებით, ერთის თანაგრძნობით არ ვემსახურებით და მარტო საკუთარი „მე“ გვყავს წინ წაყენებული, მაშინ ხომ იცით, რა კოოპერატიულის მეცნიერებითაც უნდა იყოს კაცი აღჭურვილი, საქმეს მაინც წინ ვერ წასწევს და შენ-მეობით ადვილი წარმოსადგენია თითონ საქმესაც, სამწუხაროდ, მალე მოეღოს ბოლო.

ნიკო ველისციხელი.

## აჭარის გათათრება.

(ს. ღერეხონაში ნაამბობი ქართველ მაჰმადიანის მოხუცის დეზმა მხოცვაძის მიერ).

მე რომ შვიდის წლისა ვიყავი, კარგად მახსოვს, რომ მაშინ სოფ. ღერეხოხნის ნახევარი ხალხი ქრისტიანები იყვნენ და ესენი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობას. ესენი ღამე შეიყრებოდნენ ხოლმე ერთს სახლში, ერთ ჭრაქს დაანთებდნენ, იქ მღვდელი იდგა ხოლმე და ჩუმად ლოცულობდა და ხალხს ალოცებდა. მღვდელს ვერავინ რას შეატყობდა, რადგანაც ის ვაჟკაცურად (ერის კაცურად) იყო ჩაცმული. ეს ჩუმი ქრისტიანები თათრობასაც ასრულებდნენ, პარასკეობით ჯამეზედაც მოდიოდნენ და ლოცულობდნენ. ასე და ამგვარად დიდხანს ინახეს ამათ თავი, მაგრამ ბოლოს შეუტყეს ეს საქმეები, ყველანი დაიჭირეს და გარდაწყვეტით გამოუცხადეს, რომ თუ ქრისტიანობას თავს არ გაანებებთ, იცოდეთ, რომ ყველას თავები მოგეჭრებათო. შეშინდნენ ყველანი და გათათრდნენ სრულიად, ასე რომ ღერეხოხნის ქართველთ გათათრება 100 წელიწადიც არ არის.

II

ამ 60 წლის წინად, მე კარგად მახსოვს, რომ აჭარაში აქა-იქ ჩუმად ღვინოს დასწურავდნენ ხოლმე და ინახავდნენ ჩუმად და ხან-და-ხან დალევდნენ ხოლმე, ხან დედაკაცები ჩარექებით ეკკლესიებში მიიტანდნენ და დააწყობდნენ. აჭარაში ეკკლესიებში სანთლის მიტანაც იცოდნენ, ფულის და ბამბის. ვინმე ავად რომ გახდებოდა, მაშინვე ეკკლესიებს მიუტანდნენ ძველ რამეებს და იქ დააწყობდნენ, ამის შემდეგ ავადმყოფი მორჩებოდა. ვინმე რომ ყვავილით, ან სხვა რამით გახდებოდა ავად, იმას თქვენებურს ლოცვებს უმღერებდნენ ხოლმე და ავადმყოფები მორჩებოდნენ. ყველა ესენი გადავარდა ამ ოცდა-ათის წლის წინად და დედაბერს დედაკაცებში თქვენებური ლოცვები დღესაც ბევრმა იცის ზეპირად. მოლებმა და ხოჯებმა ერთს დროს ჩვენებურს ქალებს დაუშალეს თქვენებურ ლოცვების თქმა; ამიტომ როცა ავად გახდებოდა ვინმე, მაშინ ჩვენიდამ წავიდოდნენ გურიაში კაცები, იქ დაიქირავებდნენ გურულს დედაკაცებს, მოიყვანდნენ აქა და ამათ ათქმევინებდნენ ხოლმე ქართულ ლოცვებს და გალობას, მაგრამ ბოლოს ესეც აკრძალეს ხოჯა-მოლებმა, რომ ჩვენის კაცისათვის ქრისტიანის ლოცვა არ შეიძლებაო. თუ გინდათ, ხოჯები წაიყვანეთ და წიგნი და ლოცვები აკითხვინეთო. ესე დაავიწყდა ხალხსა და მას შემდეგ ჩვენში ავადმყოფი რომ შეწუხდება, ამისათვის ხოჯას იხმობენ და ლოცვას წააკითხებენ, რომ ავადმყოფი მორჩესო.

—

ლაზისტანის გათათრება.

(ნაამბობი ს. ჩხალელის ჯანი ხოჯასაგან).

ოსმალები პირველად ლაზისტანში შემოსულან. ლაზისტანი ძლიერ ადვილად გათათრებულა. ამათ მალე მიუციათ ოსმალთათვის დახმარება. ოსმალნი მოსულან მაქრიალოში. მაქრიალის ციხეში ფეხი გაუმაგრებიათ. აქ დაუწყიათ ტყავზედ ფულის მოჭრა და ამ ფულებით შეისყიდდნენ ხოლმე ქართველებსა და თავიანთკენ მიიმხრობდნენო. ტყავის ფულებით მათ ბევრი ქართველი შეისყიდეს, ბევრი გაათათრეს ადვილათაო. როცა ქართველი თათრები გამრავლდნენ, მერე მათის დახმარებით და ლაზების შემწეობით ლივანაში იწყეს თათრის სჯულის გავრცელება. ბევრი ჩხუბი მოხდა ლივანაში, ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველებისა, მაგრამ ბოლოს მაინც ოსმალთ დაიმორჩილეს და ყველანი გაათათრეს. ვინც არ გათათრდა და წინააღმდეგობდნენ, ისინი დაიჭირეს და მაქრიალის ციხეში სულთან სელიმს მოჰგვარეს. სულთან სელიმმა იმათ ჰკითხა:

— რატომ არ თათრდებით თქვენა, რატომ არ გინდათ, რომ ჩვენი წმიდა სჯული მიიღოთ? ხალხმა უარი განუცხადა:

— ვერა, ვერ მივიღებთ. ჩვენ ქართველები ვართ, ქრისტიანები და ასეც უნდა დავიხოცნეთ; სხვა რაც გნებოთ, ის გვთხოვეთ, ერთგული მონობა და სხვანი, მაგრამ სჯულს ვერ გამოვიცვლითო.

— მაშ ყველას თავები მოგეჭრებათ, — უთხრა სულთანმა.

-- ნება თქვენი გახლდეს. მიუგო ხალხმა. სულთან სელიმმა საჩქაროდ ბრძანება გასცა, მოვიდნენ ჯალათები და მტკიცე ქართველი ქრისტიანები მიიყვანეს მაქრიალის ციხის თავ-საკვეთთან, ყველას მოსჭრეს თავები და მერე ტანი ზღვაში გადაყარეს და თავებს კიდევ სარებზედ აგებდნენ და ახმობდნენ სხვა და-სხვა ადგილებში შესვლის დროს ქრისტიან ქართველების შესაშინებლად.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

—

„გრაჟდანინის“ სიტყვით, ყველა სამინისტროებს მოუვიდა მიწერილობა, რომლითაც საგვირგვინო კომისია თხოულობს მასალას წყალობის მანიფესტის შედგენისათვის. მანიფესტი გამოვა 1896 წელს გაზაფხულზე იმპერატორის დაგვირგვინების გამო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს დააარსოს დიდის ქალაქების პოლიცმეისტერის კანცელარიებთან საადრესო განყოფილება.

—

მომავალ წლიდგან პეტერბურგში გამოვა ახალი სამეურნეო გაზეთი. გაზეთი კვირაში სამჯერ დაისტამბება.

—

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსათვის განსახილველად ოდესის საფილოქსერო კომიტეტს პროექტი წარუდგენია, რომელშიაც კომიტეტი ვენახებისა და ბოსტნების სავალდებულო საურთიერთო დაზღვევის შესახებ ლაპარაკობს.

## წვრილი ამბები

—

ამერიკის გაზეთებმა აღარ იკმარეს ტელეგრაფი და მის მაგიერ აი რა მოუგონიათ: ჩასვამენ რეპორტერს ჰაერო-სტატში, რომელიც შეერთებულია რედაქციასთან მავთულით და გაგზავნიან იქით, სადგანაც უნდათ შეიტყონ, რამე. ამას წინად ერთმა გაზეთმა გაგზავნა ამისთანა ჰაერ-ოსტატი საზღვაო კლუბის მიერ გამართულ ხომალდთა სანაძლეოზედ დასასწრებლად. რეპორტერი მოჯდა ჰაერ-ოსტატის ნავზედ, აუშვა ჰაერ-ოსტატი 1,000 ფუტზედ და აქედგან ათვალიერებდა ხომალდებს და თან დეპეშას ჰგზავნიდა რედაქციაში.

—

როგორც გამოკვლეულია, მთლად დედამიწის ზურგზედ 3,985 ქაღალდის ფაბრიკაა, რომელნიც ყოველ წელს აკეთებენ 710 მილიონ თაბახს. ამის ნახევარი წიგნის ბეჭდვას ხმარდება, სხვა დანარჩენი გაზეთებს. ყველაზედ მეტს ქაღალდს ინგლისში ხმარობენ. აქ კაცის თავზე საშუალო რიცხვით 260 თაბახი მოდის; ამერიკაში 240 და საფრანგეთში 168.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ლიბერალთა პარტიის კომიტეტი ამ ჟამად იმის განხილვაშია, თუ როგორ და რა წესზედ უნდა შეიცვალოს პარტიის ორგანიზაცია. კომიტეტს ახლა მოლაპარაკება აქვს ამის შესახებ გარკურტთან. კონსერვატორთა გაზეთების სიტყვით, ამ წლის ბოლოს დიდს ცვლილებას უნდა მოველოდეთ ინგლისის ლიბერალთა პარტიაშიო. ჯერ-ჯერობით არ გადაწყვეტილა, ვინ უნდა იქნეს პარტიის წინამძღოლად. რადიკალები, ლაბუშერის პირით, წინააღმდეგობას აცხადებენ როზბერის ლიდერათ დანიშვნაზე; მეორეს მხრით, ლიბერალების აზრით, როზბერის მაგიერად გარკურის არჩევა წინამძღოლათ დიდი შეცდომა იქნებაო.

—

**სერბია.** მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ ამ ჟამად სერბიაში საკონსტიტუციო კანონი აღარ მოქმედებს და ხალხი მოუთმენლად ელის, როდის მოისპობა ანარხია და როდის იქნება აღდგენილი კონსტიტუციაო. ახლა გაზეთ „პოსტ“-ის სიტყვით დედოფალს ნატალიას დაუბარებია რადიკალთა მეთაურები და უთქვამს მათთვის, რომ საზღვარ-გარეთიდგან ჩამოსვლისათანავე მეფე აღადგენს კონსტიტუციასაო.

—

**ბულგარია.** „ტან“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ პრინცის ფერდინანდის მახლობელნი ძალიან დაშინებულნი არიან იმ ხმებით, რომე-

---

მოგვიტანე?

რობერტი. თქვენთვის, ძვირფასო მშობლებო, საზღვარ-გარეთ ისეთი ვერა მოვახელე-რა, რომ ღირსეული და ღირებული ყოფილიყო. მითხარით, რა უფრო გესიამოვნებათ?

დედა. ნეტა იმ დროს შემასწრებდეს, რომ ვინმემ ამ სავარძლის მსგავსი და შესაფერი გრძელი დივანი მიყიდოს. (რობერტი გაოცებით შესცქერის) ვერ გაიგონე, რაცა ვსთქვი?

რობერტი. (საყვედურით) ვერა, დედაჩემო, მე შენი ვერა გავიგე-რა.

ხეინეკე. (ყინიანადვე) მე-კი ახალი ქოთანი მინდა წებოსათვის. იქნება ამის ყიდვა მაინც არ გაგიჭირდეს. (გამოდიან ავგუსტა ჭრელის შალით, ალმა ფუტლიარით, მისალსკი ყალიონით რობერტს შემოეხვევიან და მადლობას უხდიან).

ავგუსტა. ოჰ, რა რიგად მწყინს, რომ ეხლა ინდოეთის შალებს აღარავინ ჰხმარობს.

მიხალსკი. (ყალიონსა ჰსინჯავს) სწორედ ასეც მოველოდი, ჰაერი არ გადის.

რობერტი. (ალმას, რომელიც ყელის მეწკვსა ჰსინჯავს) შენა, ალმა, კმაყოფილი ხარ? შეჰხედე მაგ ცისფერს თვლებს, ინდოეთის ბადახში ჰქვიან.

ალმა. მშვენიერება რამ არის, მაგრამ მე უფრო მუქის ფერის ბადახში მიყვარს, იმას უფრო წყალი აქვს.

რობერტი. ეგ თვალების გამოცნობა საიდგან გისწავლია?

ალმა. ძალიან მიყვარს ოქრომჭედლების მაღაზიის ფანჯრების წინ დგომა და ნივთების დასინჯვა.

რობერტი. ეგ ყურებში რაღა გიბრწყინავს?

ალმა. ესა? ყალბი ბრილიანტებია; წყვილ'ში ორი მანეთია რაღაცა მიცემული.

რობერტი. მაგას ეხლა აღარავინ ატარებს, ჩემო სულიკო. თუ დამპირდები, რომ ეხლავე ჩამოიხსნი, შენთვის ერთი სხვა საჩუქარიც მომეძებნება.

ალმა (გაუბედავად იხსნის საყურებს) აჰა!

რობერტი. აი, ჰხედავ, ეს ინდოეთის ერთს დედოფალს ეკუთვნის და ომის დროს არის მოპოვებული ერთის ჩემის მეგობრისაგან. აბა გასინჯე კარგად, სულ ვერცხლის სირმით არის შემკული.

ალმა. (აღტაცებით) ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერებაა!

მიხალსკი, (იცინის) მერე, ვინ იცის, სარჩობელაზედ აქნევინეთ ფეხები. (რობერტი გაოცებით უყურებს).

ალმა. (მმას მიუალერსებს) ჩემო ძვირფასო, ჩემო კეთილო და საყვარელო! (მდიდრად მორთული მეტლე ფანჯარას დააკაკუნებს).

დედა. კაცო, წადი ერთი ჰნახე, რა უნდა იოჰანს?

ალმა. ოჰ, შურით როგორ დაჰბრიცავენ თვალებს, როდესაც ხვალ მასკარადში...

ავგუსტა. სსუუ, სსუუ.

ხეინეკე. (კარებიდგან) ალმა, ბატონის შვილს იოჰანნი გამოუგზავნია, სამს საათზედ ქალაქს მივდივარ და იკითხე, წამომყვება თუ არაო? (ავგუსტა და ალმა ხმა ამოუღებლად ერთმანეთს გადაჰხედავენ).

რობერტი. ეს რასა ჰნიშნავს?

ავგუსტა. საიმისო არაფერია. ბატონის შვილს საკუთარი ეტლი აქვს და იმდენად თავაზიანია, რომ ერთი და ერთი სამუდამოდ მიიწვია ალმა, ქალაქში ერთად ვიაროთო.

რობერტი. როგორ? და მერე თქვენ ითმენთ ამას? შენ მაინც როგორ დასთანხმდი, ალმა?

ალმა. განა საწყლის შვილს-კი არ ესიამოვნება მშვენიერის ეტლით გასეირნება.

დედა. ეგეც არ იყოს, ცხენის რკინის გზაზედაც ცოტა იხარჯება ფული.

რობერტი. ღმერთო შემიწყალე! მერე მიულინგის ცოლ-შვილი რა თვალით უნდა გიყურებდნენ?

ალმა. იმათ არა იციან-რა. როდესაც მე მივდივარ ხოლმე, ეტლი ქვემო კარებთანა დგება, სადაც მხოლოდ ქარხნის მომუშავეები დადიან.

რობერტი. მით უფრო ცუდი. მალულობას ვინ იცის რა ჭუჭყით სავსე ჭორები მოსდევს! განა შენ ყურამდე არას მოუღწევია აქამდე? (ალმას) აქ მომიახლოვდი. აბა პირდაპირ შემომხედე თვალებში...

ალმა. (შეჰხედავს) ჰა, რა გინდა?

რობერტი. (თავზედხელსმოჰკიდებს) არა, ეს თვალები ასე ძლიერ ვერ იტყუებენ! წმიდა ხარ, წმიდა... (ჰკოცნის).

ხეინეკე. ჩქარა გადასწყვიტე, ვიცი გელის.

რობერტი. დღეიდგან ეტლში აღარა გნახო. ჩვენის წრის ქალებისათვის ცხენის რკინის გზაა დაარსებული. (ალმა ტირილს დაიწყებს).

დედა. საბრალო ალმა!

ავგუსტა. შენ რაო ახლა, გინდა აქ შენებურად იბატონო? (გზიდგან ყმაწვილების ხმაურობა მოისმის).

ხეინეკე. (ფანჯარასთან) აქ მოდით, მოდით ჩქარა. შეხედეთ, თავზედ რიდე მოხვეული ზანგი მოდის.

ყველანი. ზანგი, ზანგი! არა, ზანგი არ არის.

ალმა. (ისევ ცრემლი სდის) რობერტ, ზანგია ეს კაცი.

რობერტი. (სახე-დაღვრემილი) არა, ჩემო პაწიავ, ინდოელია, ჩემის მეგობარის მოსამსახურე.

დედა. შენის მეგობრისა? აი იმ გრაფისა?

რობერტი. ჰო. (ინდოელი შემოვა; ყველანი შემოეხვევიან) რაგარიტა, შენი ბატონი დიდად სასურველი და სანატრელი სტუმარია ამ ოჯახისათვის. (ინდოელი გადის. ყველანი აღელვდებიან. ხეინეკე დედა აწყობს ასწორებს და სარკესა სწმენდავს).

ალმა. (სარკის წინ ულულაობს) ეგ შენი გრაფი მოხუცია თუ ახალგაზდა? (რობერტი ხმას არ იღებს) ახ, თვალები რა ჩაწითლებული მაქვს. სულ ერთიანად ჩასისხლიანებულია, არა, ავგუსტა? ერთიც ვნახოთ, ყმაწვილი კაცია ის გრაფი (გადის).

ხეინეკე. თქვენო ბრწყინვალებავ. მეთქი, ვეტყვი... ამ სავარძელზედ დაბრძანდით მეთქი... დიაღ, სწორედ ასე ვეტყვი. ოო, ჩვენც ვიცით კეთილშობილური ყოფა-ქცევა.

დედა. ჩვენსას ერთხელ ერთი ბარონიც იყო, ჩვენის ბატონიშვილის მეგობარი... გახსოვს, კაცო? ალმაც ხომ მოიკითხა... გრაფი-კი ჯერ არა ყოფილა ჩვენს სახლში.

რობერტი. ვინ იყო ჩვენსაო, რა სთქვი, დედაჩემო?

ა. ახნაზაროვი

(შემდეგი იქნება)

ლიც სოფიაში გავრცელდა, ვითომც პრინცის მოსაკვლელად შეთქმულობა არისო. სასახლეში მიუღიათ მრავალი წერილი პრინცის წინააღმდეგ მუქარით სავსე.

## ამერიკის შეერთებულ შტატების სიმდიდრე.

ცნობილს ამერიკელს სტატისტიკს მიულგელს დაუსტამბავს საყურადღებო წერილი, რომლითაც ნათლად გამოუსახავს ამერიკის შეერთებულ შტატების როგორც ნივთიერი, ისე გონებითი საკვირველი ზრდა. მთელს კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება მაგალითი ამგვარის სწრაფის და საკვირველის განვითარებისა. მაგალითად ვერც ერთი ერი, გარდა ამერიკელებისა, ვერ იტყვის, რომ მას ორმოც-და-ათი მილიონი წერა-კითხვის მცოდნე ჰყავდეს. ავტორი სტატისტიკურის ცნობებით ამტკიცებს, რომ ძლიერ გავრცელებულმა განათლებამ, მცირე სამხედრო ხარჯმა და ამერიკელების შესანიშნავმა ნიჭმა ამერიკა უმდიდრეს ქვეყნად გარდააქციესო“.

შეერთებულ შტატების ვაჭრობა-მრეწველობა თითქმის აღემატება ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის მრეწველობას ერთად აღებულს. ერთს ამერიკელს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე ორს ფრანგს ან გერმანელს. ამერიკელთ უფრო მეტი პური მოჰყავთ, ვიდრე ევროპის ყველა მიწის-მომქმედთ ერთად. 1890 წლის აღწერილობამ დაამტკიცა, რომ შეერთებულს შტატებში ოთხ-მილიონ ნახევარზე მეტი ფერმერია. მათი საქონელი, მიწა და სამიწათ-მოქმედო იარაღი ოც-და-თოთხმეტი მილიონი მანეთი ღირს. შეერთებულს შტატებში ერთს მიწათ-მომქმედს იმოდენივე ხორბალი მოჰყავს, რამდენიც ინგლისში სამს მიწათ-მომქმედს, საფრანგეთში ოთხს, გერმანიაში ხუთს და ავსტრიაში ექვსს. ამ რიგად ოთხს მერიკელს მიწათ-მომქმედს შეუძლიან იმდენი პური მოიყვანოს და გაყიდოს, რამდენიც საკმარისი იქნება ერთის წლის განმავლობაში ათასი კაცისათვის, ასე რომ ერთს ამერიკელს შეუძლიან გამოჰკვებოს ორას ორმოც-და-ათი კაცი, ხოლო ევროპიელს მხოლოდ ოც-და-ათი. რაღა საკვირველია, მაშასადამე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისზე უფრო მდიდარია, იმ ინგლისზე, რომელსაც დღემდის მეტოქე არა ჰყვანდა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ქვემოთ მოყვანილ პირთ, რომელთაც 1-ლ აგვისტოდგან წარსულის წლისა შემოსწირეს დღემდის თავისი წვლილი წინამძღვარ-იანთ-კარის სკოლის მოსწავლის დავით ჭიღლაძის სასარგებლოდ, რომელსაც კიდევაც გარდაუცა თავისს დროზედ: დავით ნიკოლოზის ძემ ბაქრაძემ 10 მან., ანემპოდისტე იასეს ძე მაჩაბელმა 10 მან., ბეჟან დავითის ძე წერეთელმა 10 მან., ილარიონ იოტის ძე გამყრელიძემ 10 მან., ლევან ტიმოთეს ძე ჯაყელმა 10 მან., ამირიდონ გრიგოლის ძე წერეთელმა 6 მან., უარამან გარსევანის ძე მაჭავარიანმა 3 მან., ქართლიდგან ჩემმა ნაცნობებმა 8 მანეთი და სულ 67 მანეთი.

კნეინა ნინო ალექსანდრეს ასული წერეთლისა.

საჩხერე. 1895 წ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა ფინანსთა მინისტრის განკარგულება: ყველა საბაჟო გარდასახადი შეიძლება ოქროს ფულით იქმნას შეტანილი ხაზინაში.

ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, რომ ფინანსთა მინისტრი ქალაქ ვიტკის საპატიო მოქალაქედ იწოდებოდეს.

პოლიციის დეპარტამენტის საქმის მწარმოებელი ვოიტოვი დაინიშნა ამავე დეპარტამენტის ვიცე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად.

გაზეთების სიტყვით, პეტერბურგს მალე დაბრუნდება ფინანსთა მინისტრის მიერ გაგზავნილი ექსპედიცია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ვაჭრობის მდგომარეობა აზიის სახელმწიფოებსა და რუსეთის შუა. ექსპედიციას დაუვლია ჩინეთი, იაპონია, კორე; შეუგროვია დიდძალი მასალა, რომლის შესწავლა-განხილვას ახლა შეუდგება.

**სოფია,** 16 აგვისტო. დატუსაღებულ იქმნა ოც-და-ათი კაცი, რომელნიც სხვებთან ერთად დაეცნენ ამას წინად სოფელ დოპატის მცხოვრებ მაჰმადიანთ.

მთავრობამ დაითხოვა ლოვჩინის საერო საბჭო, რომლის უმრავლესობა როდოსლავოვის პარტიას ეკუთვნის.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 215½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100¼ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | — , |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 99⅝ | — „ |

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი **ა. ი. ხოროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. შ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტ[illegible] აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| მარიამი, მოთხრობა ყმაწვილებისათვის, შმიდტისა . . . . . | „ | 10 |
| ლექსები და წერილები ნ. ბარათაშვილისა . . . | „ | 60 |
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 12 | 50 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა . . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 25 |
| III вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | „ | 60 |
| Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . | 3 | „ |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе. | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. | 7 | 50 |

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ ამა წლის 23-სა და 31 აგვისტოს დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზედ, ბანკის შენობაში დანიშნულია საჯაროდ ვაჭრობა შემდეგის მამულებისა, რომლებიც წინა ვაჭრობით გაუსყიდველობისა გამო ამ წლის 9 აგვისტოს, ბანკს დარჩა:

ჩოლაყაევები თავ. რევაზ ალექსანდრეს ძე, ბიძინა ოთარის ძე და ელისაბედ დავითის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 720 დესეტ., ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, საავარაკო ახმეტაში, თავნი ვალი 7947 მან. 43 კაპ., შემ. გარდ. 339 მან. 20 კ. და სულ 8281 მან. 63 კაპ.

თავ. ანდრონიკოვები: ია და ზაზა დონიკეს ძენი: საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 518 დეს. 330 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, საავარაკო ზიარში, თავნი ვალი 12,451 მან. 96 კ., შემ. გარდ. 378 მან. 27 კ. და სულ 12830 მან. 23 კაპ.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გარდახდილ იქმნას ბანკის გირავნობის ფურცლებით მანეთზედ მანეთი მათის ნამდვილის ღირებულებისა, და აგრეთვე ბანკის თანხმობით შეიძლება ვალი მსყიდველზედ იქმნას გარდატანილი; ხოლო სავადო შესატანი და სხვა გარდასახადები უნდა წარდგენილ იქმნას ნაღდ ფულათ.

ვაჭრობა პირველის მამულისა მოხდება 23 აგვისტოს, ხოლო მეორისა 31 აგვისტოს. სიტყვა „შეიძლება“ სრულიად სარწმუნოდ არის ხმარებული. (3—6—2).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

**თამარ მეფისა და შოთა რუსთველის** სურათებიანი ფოსტის ქაღალდები.

ფასი თითო ექსემპლარისა 15 კაპ.


**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკვემოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მოშუშაკეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემეუწოდაასადგურებზედ.

50—6—49